პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 იანვარი, კვირა, 1989 წ.
№ 6 (9923) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა...

**ალბათ,** ბევრმა ჩვენმა მკითხველმა ნახა კინოფილმი „პირველი მერცხალი“, სადაც დიდი იუმორითაა მოთხრობილი საქართველოში ფეხბურთის შემოსვლის ამბავი. ზოგიერთი დეტალი ფილმში, როგორც ეს ხელოვნების ნაწარმოებისათვისაა დამახასიათებელი, ავტორთა ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ, მთლიანობაში, ყველაფერი სწორედ ასე იყო. ფეხბურთი საქართველოში მართლა ზღვამ „შემოიტანა“ ინგლისელი მეზღვაურების საშუალებით. მართალია ისიც, რომ უცხოელი მეზღვაურების თამაშს თვალმოუწყვეტლივ, გატაცებით უყურებდნენ საპორტო ქალაქების ფოთის, ბათუმისა და სოხუმის მკვიდრი მამაკაცები.

...„არწივი“, „იმედი“, „დიანა“, „ვენი, ვიდი, ვიცი“ — ასეთ პოეტურ სახელებს არქმევდნენ პირველ საფეხბურთო გუნდებს, რომლებიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში იქმნებოდა სოხუმში და რომლებსაც სულ უფრო მეტი თაყვანისმცემელი უჩნდებოდა. სულ მალე ფეხბურთის „ბაცილა“ ოჩამჩირეშიც გავრცელდა, ცოტა ხნის შემდეგ კი მთელი აფხაზეთი „დაავადდა“. გუნდები ავტონომიურ რესპუბლიკაში ისე უხვად ჩნდებოდა, როგორც სოკოები ნაწვიმარზე. გამოჩნდნენ ბურთის პირველი ვირტუოზებიც.

ერთი სიტყვით, თავიდანვე ყველაფერი იქით მიდიოდა, სადაც საბოლოოდ მივიდა კიდეც. აფხაზეთი ნამდვილი საფეხბურთო მხარე გახდა, სადაც ამ თამაშის მრავალი ოსტატი აღიზარდა. თუმცა, იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ნოყიერ ნიადაგში მოხვდა ინგლისიდან შემოტანილი ფეხბურთის თესლი, აუცილებელია გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე სახელი: სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. დოლობერიძე, ვ. მარღანია, ნ. სიმონიანი, ნ. ძიაპშიპა, ვ. დარასელია, სპორტის ოსტატები ა. ტყებუჩავა, ვ. სანაია, ი. ვარდიმიადი, ვ. ბარქაია... ვფიქრობ, საკმარისია, თუმცა სიის გაგრძელებაც შეიძლება. და მაინც, უფრო სხვა რამ მგონია მნიშვნელოვანი, კერძოდ: ფეხბურთის თესლი დღესაც უხვ მოსავალს იძლევა.

მეეჭვება ვინმემ გაიხსენოს თბილისის „დინამოს“ რომელიმე დროის შემადგენლობა, რომელშიც არ იქნებოდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები. ავიღოთ, მაგალითად 1982 წლის გუნდი. მხოლოდ ოჩამჩირიდან, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდა მწვრთნელი ბონდო კაკუბავა, გუნდში ოთხი კაცი ირიცხებოდა: სსრ კავშირის ნაკრების ნახევარმცველი, თასების თასის მფლობელი ვიტალი დარასელია, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები, ვ. გრანატკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები გიორგი დოჩია და თენგიზ ლოგუა, აგრეთვე თემურ ქიბა.

რაშია საფეხბურთო ტალანტების ასეთი სიმრავლის საიდუმლოება? მარტო მდიდარ ტრადიციებში ხომ არა? და ალბათ, არც მარტო იმაში, რომ აფხაზეთის რბილი კლიმატი მთელი წლის განმავლობაში იძლევა ვარჯიშის საშუალებას. მიზეზი უფრო სხვაა, მაგრამ არც ზემოჩამოთვლილი ფაქტორების უგულებელყოფა შეიძლება.

...მრავალი გულშემატკივრისა და სპეციალისტისაგან გამიგია: ვიტალი დარასელიას აღმზრდელს თამამად შეუძლია თავისი მისია ფეხბურთში შესრულებულად ჩათვალოს. ბონდო კაკუბავამ კი, რომელიც ამჟამად ოჩამჩირის „ამირანს“ წვრთნის, არა მარტო აღზარდა დარასელია, სწორედ მან აღმოაჩინა იგი — ცხრა წლის ბიჭუნა, რომელიც თავდავიწყებით დასდევდა ბურთს, მიიყვანა ადგილობრივ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში, სადაც იმხანად თავად მუშაობდა, ჩარიცხა ქუჩის გუნდის „ამირანის“ შემადგენლობაში, რომელიც „ტყავის ბურთის“ გათამაშებაში მონაწილეობდა და სადაც ვიტალიზე 2–3 წლით უფროსი ბიჭები თამაშობდნენ.

არ მინდა იმის მტკიცება, რომ კაკუბავამ პატარა, მოძრავ ბიჭუნაში მაშინვე დაინახა მომავალი

იხ. მე-2 გვ

Советский спорт

# ქეთევან კახიანის საოცარი აღმასვლა

**გუშინ** „ლელოში“ გამოვაქვეყნეთ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების (პირველი ხუთეულების), საერთაშორისო რეიტინგები 1989 წლის 1 იანვრისთვის. დღეს ჩვენ საშუალება მოგვეცა საკავშირო რეიტინგები გავაცნოთ მკითხველებს. მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა ქართველი საერთაშორისო ოსტატის ქეთევან კახიანის დიდი წარმატება. ერთი წლის მანძილზე რეიტინგების სიაში მან უდიდესი ნახტომი გააკეთა, შეიძინა 102 ქულა და 49-დან მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. ახლა კი სიებს გაგაცნობთ (ფრჩხილებში ნაჩვენებია ადგილი რეიტინგ-ლისტში 1988 წლის 1 იანვრისთვის; ქულათა სხვაობა 1988 წლის 1 იანვრიდან 1989 წლის 1 იანვრამდე).

**ქალები:** 1 (1). **მაია ჩიბურდანიძე** — 2479 (—10), 2 (3). **ნანა იოსელიანი** — 2448 (+24), 3 (4). **ელენა ახმილოვსკაია** — 2423 (+53), 4 (2). **ნონა გაფრინდაშვილი** — 2423 (—52), 5 (8). **ირინა ლევიტინა** — 2382 (+46), 6 (7). **მარტა ლიტინსკაია** — 2361 (+18), 7 (5). **ნანა ალექსანდრია** — 2344 (—19), 8 (6). **ქეთევან არახამია** — 2342 (—10), 9 (9). **ნინო გურიელი** — 2322 (0), 10 (10). **ზოია ლელჩუკი** — 2319 (+7), 11 (16). **ლიუდმილა ზაიცევა** — 2309 (+46), 12 (14). **სვეტლანა მატვეევა** — 2304 (+29), 13 (25). **ალა გალიამოვა** — 2298 (+78), 14 (15). **აინურ სოფიევა** — 2294 (+24), 15 (49). **ქეთევან კახიანი** — 2291 (+102)...

**ვაჟები:** 1 (1). **გარი კასპაროვი** — 2779 (+39), 2 (2). **ანატოლი კარპოვი** — 2751 (+25), 3 (3). **ალექსანდრე ბელიავსკი** — 2644 (+6), 4 (8). **ვალერი სალოვი** — 2625 (+33), 5 (6). **მიხეილ ტალი** — 2624 (+6), 6 (5). **არტურ იუსუპოვი** — 2615 (—8), 7 (20). **ლევ ფსახისი** — 2605 (+61), 8 (4). **რაფაელ ვაგანიანი** — 2604 (—22), 9 (28). **ვასილი ივანჩუკი** — 2603 (+76), 10 (11). **ლევ პოლუგაევსკი** — 2599 (+18), 11 (12). **იან ელვესტი** — 2599 (+27), 12 (9). **ანდრეი სოკოლოვი** — 2596 (+6), 13 (14). **ვლადიმერ ტუკმაკოვი** — 2590 (+22), 14 (10). **ვიაჩესლავ ეინგორნი** — 2582 (—7), 15 (7). **მიხეილ გურევიჩი** — 2581 (—17)...



**გუშინ** თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო სამი შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქების უბნების პირველობაზე, მაგრამ ჩატარდა მხოლოდ ერთი მათგანი: გორის რაიონის სოფელ ქორდის გუნდმა დაამარცხა საქობოელი (სიღნაღის რაიონი) მოჭიდავეები — 7:2. რაც შეეხება სხვა მონაწილეებს, ქუთაისისა და ლაგოდეხის ფალავნები თბილისში არ ჩამოსულან (ალბათ უამინდობის გამო) და ამიტომ მათი შეხვედრები შესაბამისად ზემო ქედის (წითელი წყაროს რაიონი) და პატარძეულის (საგარეჯო) გუნდებთან არ შედგა.

## ცელეცაივა-მქითხველი

**ბრემენი.** ფრენბურთელ ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში სვერდლოვსკის „ურალოჩკამ“ დაამარცხა კუბის გუნდი — 3:0, ერთი დღით ადრე კი თავად დამარცხდა კუბელებთან შეხვედრაში — 2:3. შეჯიბრებაში დაწინაურდა კუბის ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ყველა სამი შეხვედრა მოიგო. „ურალოჩკა“ ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.

**ინსბრუკი.** „სამი საციგურაოს ტურნირზე“ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვადიმ შაკშახბეევმა 500 მეტრიან დისტანციაზე მეორე ადგილი დაიკავა — 39,27. გამარჯვება კი ავსტრიელმა მიჰაელ ჰადშიფმა მოიპოვა — 39,24. ჰადშიფი უძლიერესი იყო 1500 მეტრზე რბოლაშიც — 1.59,61. აქ მეორე შედეგი თომას გუსტაფსონმა (შვეცია) აჩვენა — 2.00,55. ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: 500 მ. — ზილკე ლიუდვიგმა (გდრ) — 42,38, 1500 მ. — სოფია ტოკარჩუკმა (პოლონეთი) — 2.13,52.

**ბუდაპეშტი.** ფარიკაობაში იუნიორთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ეტაპზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სერგეი გოლუბიცკიმ (რაპირა) მეოთხე ადგილი დაიკავა. მან ჯერ ფრანგ სტეფან კონეშნის მოუგო (10:6), მაგრამ მერე იტალიელ ფაბიო დი რუსოსთან დამარცხდა (10:11). გამარჯვება მოიპოვა მეორე იტალიელმა ჯანმარკო ამორემ, რომელმაც ფინალში დი რუსოს აჯობა — 10:7. ოთხი ეტაპის ჯამში ლიდერობს დასავლეთგერმანელი რაპირისტი თომას ენდრესი. მომდევნო ადგილებზე არიან ლიდერის თანამემამულე ალექსანდრე კოხი და დი რუსო.



**ძიუდომ** ჩვენს სპორტში განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა. სწორედ ამიტომ, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობითა და დონით უნდა გამოირჩეოდეს ძიუდოისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატიც. სასიხარულოა, რომ სურვილი და სინამდვილე თითქმის ემთხვევა ერთმანეთს; ძალზე საინტერესოდ ჩატარდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ძიუდოში, რომელსაც თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დარბაზმა უმასპინძლა. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ტურნირი, რომელსაც უნდა დაესახელებინა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა საკავშირო ჩემპიონატის წინ (მინსკი, 25-29 იანვარი). ვაქვეყნებთ ამ შეჯიბრების ეპიზოდის ამსახველ ფოტოს, ხოლო მასალას საქართველოს ჩემპიონატის შესახებ, „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## ფიზკულტურა ყველასთვის

# დასვენების დღეებში

**თბილისის** სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა 1989 წლის იანვრიდან დედაქალაქის მოსახლეობისა და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინებით ყოველი ახალი თვის დასაწყისში დაგეგმოს და უხელმძღვანელოს სპორტმასობრივი და ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას დასვენების დღეებში. გთავაზობთ იანვრის კალენდარს.

**8. მაგიდის ჩოგბურთი.** სპორტკლუბ „ფეიქრის“ დარბაზი. სართავი ფაბრიკის პირველობა. **17.00.**

**8. კალათბურთი.** მე-10 სკოლა. „მხიარული“ სტარტები“. მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები. **10-13 სთ.**

**8. კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა.** 164-ე სკოლა. მონაწილეობენ ამავე სკოლის მოსწავლეები. **10-13 სთ.**

**8. მოძრავი თამაშები, ლერძზე მიზიდვა, ყუმბარის ტყორცნა.** 114-ე სკოლა. მონაწილეობენ ამავე სკოლის მოსწავლეები. **10-13 სთ.**

**14-15. მასობრივი შეჯიბრებები სამხედრო-გამოყენებით სახეობებში.** სპორტკლუბ „ფეიქრის“ დარბაზი. მონაწილეობენ ამავე საწარმოს თანამშრომლები. **18 სთ.**

**15. კალათბურთი.** საკალათბურთო სპორტსკოლა (წერეთლის გამზირი, 106). მონაწილეობს მოსწავლე-ახალგაზრდობა. **11 სთ.**

**15. კალათბურთი.** 75-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დარბაზი. მონაწილეობენ: №№11, 18, 36, 75, 80, 109, 126 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. **12 სთ.**

**15. კალათბურთი.** 45-ე სკოლის დარბაზი. გლდანის რაიონის სკოლების პირველობა. მონაწილეობენ ამავე სკოლის მოსწავლეები. **10 სთ.**

**21. მაგიდის ჩოგბურთი.** „სინათლის“ დარბაზი. ავტოსატრანსპორტო გაერთიანების პირველობა. **11 სთ.**

**21. ჭადრაკი.** „სინათლის“ სპორტდარბაზი. ავტოსატრანსპორტო გაერთიანების თანამშრომლები. **12 სთ.**

**21-22. ტყვიის სროლა.** „სპორტკლუბი“ გამარჯვება (სასროლო ტირი). ქარხნის პირველობა. **11 სთ.**

**21-22. მინიფეხბურთი.** კავშირგაბმულობის ტექნიკუმის დარბაზი. მონაწილეობენ თბილისის საქალაქო სატელეფონო კვანძის თანამშრომლები. **11 სთ.**

**21-22. კალათბურთი.** სპორტკლუბ „შევარდენის“ დარბაზი. მონაწილეობენ ქარხნის საამქროებისა და განყოფილებების თანამშრომლები. **11 სთ.**

**21-22. სიმძიმეების აწევა.** სპორტკლუბ „ფეიქრის“ დარბაზი. სართავი ფაბრიკის თანამშრომლები. **18 სთ.**

**22. კალათბურთი.** 53-ე სკოლა. მონაწილეობენ ამავე სკოლის მოსწავლეები. **10 სთ.**

**22. კალათბურთი.** 36-ე პროფტექნიკური სასწავლებელი (ავჭალის გზატკეცილი, 109). მონაწილეობენ: №№ 23, 24, 34, 35 და 36 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. **12 სთ.**

**22. მინიფეხბურთი.** 50-ე სკოლა. მონაწილეობენ ამავე სკოლის მოსწავლეები. **10 სთ.**

**22. კალათბურთი.** კალათბურთის სპორტსკოლა (წერეთლის გამზირი, 106). მონაწილეობს მოსწავლე-ახალგაზრდობა. **11 სთ.**

**28. მაგიდის ჩოგბურთი.** „სინათლის“ სპორტდარბაზი. მონაწილეობენ ავტოსატრანსპორტო გაერთიანების თანამშრომლები. **12 სთ.**

**28. ჭადრაკი.** მეტრომშენის გამაჯანსაღებელი კომპლექსი. მონაწილეობენ თბილისის საქალაქო კვანძის თანამშრომლები. **12 სთ.**

**29. ფრენბურთი.** 140-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. მონაწილეობენ №№ 5, 27, 36, 49, 75, 107, 111, 140, 151 და 168 პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. **12 სთ.**

**29. ხელბურთი.** კიროვის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (გორგასლის, 4 ა). მონაწილეობენ რაიონის სკოლების მოსწავლეები. **10-13 სთ.**

**29. კალათბურთი.** კალათბურთის სპორტსკოლა (წერეთლის გამზირი, 106). მონაწილეობს მოსწავლე-ახალგაზრდობა. **11 სთ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა...

(დასასრული)

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფეხბურთელი, რომელიც გახდებოდა თბილისის „დინამოს“ სული და გული, ქართველი გულშემატკივრების რჩეული. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ახალგაზრდა, 22 წლის მწვრთნელმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ცხრა წლის ბიჭუნას აღზრდას და უკვე ხუთი წლის შემდეგ იგი ოსტატთა გუნდ „ამირანის“ შემადგენლობაში განაცხადა, რომელიც ქალაქისა და რაიონის ღირსებას იცავდა საქართველოს პირველობაზე.

— დიდი მადლობა ანდრო ზაზროევს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მაშინდელ უფროსს, — ამბობს კაკუბავა. — დებულების თანახმად რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ 16 წელზე უფროს ფეხბურთელებს, ვიტალი კი მაშინ თხუთმეტისაც არ იყო. საბედნიეროდ, მე შევძელი დამერწმუნებინა ბატონი ანდრო დარასელიას განსაკუთრებულ ნიჭში და მიმეღო მისი ტურნირში მონაწილეობის ოფიციალური ნებართვა. იქ კი, უფროსებთან ჭიდილში, ვიტალი თვალსა და ხელს შუა კაცდებოდა.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ სულ რაღაც სამი წლის შემდეგ, 17 წლის დარასელია თავისი ოცნების გუნდის, თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხებოდა? რომ ზუსტად ამდენივე ხნის შემდეგ გუნდთან ერთად გახდებოდა ქვეყნის ჩემპიონი, შემდგომი სამწლეულის განმავლობაში კი გამარჯვებას მოუტანდა თბილისელებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში?

...დიუსელდორფის „რაინშტადიონი“, 1981 წლის 13 მაისი. თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი. „დინამო“ (თბილისი) — „კარლ ცეისი“ (გდრ). მატჩი დასასრულს უახლოვდება. ანგარიშია 1:1. დარასელია მარცხენა ფრთაზე იღებს გადაცემას ყიფიანისაგან, შედის საჯარიმოში, წარმოუდგენელი მოძრაობით ატყუებს ჯერ ერთ მცველს, შემდეგ—მეორეს და ზუსტად ურტყამს მარცხენა დაბალ კუთხეში. გამარჯვება! ტელეეკრანზე ჩანს ვიტალი მეგობრების გარემოცვაში, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს. სწორედ ასეთი, ხელებაღმართული დაამახსოვრდა დარასელია მისი თვითმყოფადი ტალანტის ურიცხვ თაყვანისმცემელს. სულ ცოტა ხნის შემდეგ ვიტალი აღარ იყო...

— როდესაც იმ საშინელი ავტოკატასტროფის შესახებ შევიტყვე, — კაკუბავას ლაპარაკი უჭირს, — ასე მეგონა, ჩემი სიცოცხლეც გათავდა. დიდხანს არ მჯეროდა, რომ ბედი ასე გასწირავდა 25 წლის ყმაწვილს, რომელიც ყველას უყვარდა...

სამწუხაროდ, ბედისწერა არც თუ იშვიათადაა ულმობელი რჩეულების მიმართ. გაიხსენეთ ლიუდმილა პახომოვა, ვალერი ხარლამოვი, შოთა იამანიძე... ისინი ძალზე ადრე წავიდნენ ცხოვრებიდან და ჩვენს გულებში აუტანელი, უკურნებელი ტკივილი დატოვეს.

„მწვრთნელს, რომელმაც ვიტალი დარასელია აღზარდა, შეუძლია თავისი მისია ფეხბურთში შესრულებულად ჩათვალოს“ — კვლავ მახსენდება არაერთგზის გაგონილი სიტყვები. მართლა ასეა? რას ფიქრობს ამის თაობაზე თავად კაკუბავა?

— მე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება ფეხბურთის, ახალგაზრდებთან მუშაობის, პერსპექტიული მოთამაშეების მუდმივი ძიების გარეშე. არ დაგიმალავთ, დარასელიასთან ძალიან გამიმართლა: განსაკუთრებული, იშვიათი სპორტული ნიჭი შერწყმული იყო ასევე განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასთან. მე ყოველთვის მანცვიფრებდა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც მასში, ალბათ, დაბადებიდან იყო განვითარებული. 9-10 წლის ასაკშიც კი იგი ყველაზე ადრე მოდიოდა ვარჯიშზე და ყველაზე გვიან მიდიოდა. მისთვის არც ცუდი ამინდი არსებობდა, არც ტრავმები, არც სხვა მიზეზები მეცადინეობის გასაცდენად. ერთი სიტყვით, დარასელია ყოველმხრივ ტალანტი იყო. თუ მხოლოდ საფეხბურთო მხარეს ავიღებთ, მე ვიტალიზე უფრო ნიჭიერი ბევრი მოწაფე მყავდა. ისინიც დიდოსტატებად უნდა გაზრდილიყვნენ, მაგრამ ყოველ მათგანს აკლდა რაღაც კომპონენტი მთლიანობიდან. ახლა, როდესაც უფრო გამოცდილი გავხდი, ვხვდები: იმაში, რომ ამ ბიჭებმა ვერ ითამაშეს დიდი ფეხბურთი, მეც მიმიძღვის ბრალი. სწორედ ამიტომ, ჩემს სადღეისო ამოცანად ვისახავ იმას, რომ მოწაფეებში განვავითარო სწორედ ის თვისებები, რომლებიც მათ აკლიათ. მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან ფეხბურთელები, რომლებიც შეგვეძლება ჩავთვალოთ დარასელიას მემკვიდრეებად.

...ოჩამჩირის ცენტრში, სულ ცოტა ხნის წინ, ჭაობი იყო. დამეთანხმებით, ასეთი „ფუფუნების“-უფლება არა აქვს რაიონულ ცენტრს, რომელიც სპორტული ბაზებისა და მოედნების დეფიციტს განიცდის. კაკუბავამ თხოვნით მიმართა რაიონის ხელმძღვანელობას დახმარებოდნენ ჭაობის ამოშრობაში. დაეხმარნენ. ყოველ შაბათ-კვირას აძლევდნენ გრეიდერებს, ბულდოზერებს, თვითმცლელებს. როდესაც მიწა მოასწორეს, შესანიშნავი, ფართო მოედანი გამოვიდა.

ახლა ბონდო იმ დღეზე ოცნებობს, როდესაც ამ მოედანზე პირველ ვარჯიშს ჩაატარებენ სპორტსკოლის მოსწავლეები, რომლებსაც კაკუბავას ყოფილი აღსაზრდელებიავარჯიშებენ. მათ ოჩამჩირეში ფანატიკოსებს ეძახიან. რა თქმა უნდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ხალხმა კი იცის, რასაც ლაპარაკობს.

ასეთი ფანატიკოსები აფხაზეთის სხვა ქალაქებშიც არიან. ვლადიმერ შამბა გუდაუთაში, რევაზ წოწორია და გიორგი სიჭინავა გაგრაში, გენო ზარია და გიორგი იოლჩიდი სოხუმში... იქნებ სწორედ ასეთი ადამიანების არსებობაში, ბონდო კაკუბავას კვალდაკვალ, თავიანთი ცხოვრება ნორჩი ტალანტების ძიებას რომ მიუძღვნეს, იმალება აფხაზეთში საფეხბურთო ნიჭით დაჯილდოებულთა სიმრავლე?

**დ. კაკაბაძე,**
„სოვეტსკი სპორტი“, 7 იანვარი, 1989 წ.

# პირობები არა აქვთ

**შარშანდელი** წლის სექტემბრიდან ხობის სპორტულ სკოლა-ინტერნატში გაიხსნა კრივის განყოფილება, სადაც პერსპექტიული მოკრივეებიც გამოჩნდნენ.

ხობში სპორტის ამ სახეობის აღორძინება ყურადღებიდან არ გამორჩენია სახალხო განათლების სამინისტროს შესაბამის სამმართველოს და რესპუბლიკის მოსწავლეთა 1988 წლის ფინალური პირადი პირველობა აქ გადმოიტანა. შეჯიბრებაში 25 ქალაქის 159 სპორტსმენი გამოდიოდა. გამოვლინდა ბევრი პერსპექტიული ნორჩი მოკრივე, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება.

— ეს შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა,—თქვა ზემოაღნიშნული სამინისტროს კრივის რესპუბლიკური სკოლის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა არჩილ გოგიშვილმა. — ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ხობის რაიონის ხელმძღვანელობას, რომელმაც ასპარეზობის ჩასატარებლად ყველა პირობა შეგვიქმნა. შეჯიბრება საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ უნდა ითქვას: უკეთესი შედეგიც გვექნებოდა, ადგილებზე კარგად რომ ემუშავათ. აქ, შეჯიბრებაზეც შემოგვჩივლეს და ჩვენთვის ისედაც ცნობილია, რომ მწვრთნელებს მუშაობისთვის ელემენტარული პირობები არა აქვთ. ბევრგან რინგი ვერ გაუმართავთ, ან სულ არა აქვთ. უფრო მეტიც, ვერ შოულობენ ხელთათმანს, სხვა ინვენტარს. განა მოკრივის აღზრდა ასეთ პირობებში შეიძლება? და მაინც, ასეთი რაიონების სპორტსმენები თბილისელ, ქუთაისელ და ფოთელ მოკრივეებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, ოღონდ მათ ხელშეწყობა და მუშაობა სჭირდებათ.

ამ შეჯიბრებაზე წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. აბსარიძემ (ხობი), გ. ქოჩიაშვილმა (ქუთაისი), გ. რუსიამ (ხობი), კ. მაღრაძემ (თბილისი), კ. კაჭარავამ (ხობი), ი. ფარღიანმა (თბილისი), მ. აბაშიძემ (ბათუმი), დ. მიქელაძემ (ქუთაისი), მ. ადამიამ (ხობი), შ. დუმბაძემ (თბილისი), ვ. კოკოევმა (ცხინვალი), რ. სამუშიამ (სოხუმი), გ. კანდელაკმა (გორი), ი. ლაჭავამ (ბათუმი) და ჯ. ქიდზბამ (სოხუმი).

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

## მოკლედ

**დამთავრდა** წითელწყაროს რაიონის პირველობა ფეხბურთში რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის“ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 18 გუნდი. ფინალში ერთმანეთს არხილოსკალოს კოლმეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გუნდები შეხვდნენ. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა წყალთა მეურნეობის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდმა და საპატიო პრიზსაც ის დაეუფლა.

**„ლელოს“ კორ.**

# SOS

## რატომ მიდიან მთავრობის დადგენილების [illegible]

# იტაცებენ... სპორტდარბაზს

**ბათუმი** განებივრებული როდია სპორტული დარბაზებით. ზამთარში, როცა ხშირი უამინდობა ღია ცის ქვეშ მეცადინეობის საშუალებას არ იძლევა, სპორტის მესვეურები ყველა ღონეს ხმარობენ, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული სპორტდარბაზები. ამ დროს კი...

ორჯონიკიძის ქუჩაზე (№ 27) მდებარე დარბაზი ისე, რომ პატრონსაც არაფერი ჰკითხეს (ქალაქის სპორტკომიტეტს), მოულოდნელად მიიკუთვნა სავაჭრო ორგანიზაციამ და შიგ დახლის გამართვას შეუდგა. არადა, ლაპარაკია იმ დარბაზზე, რომელიც ადრე მოჭიდავეებს ეკუთვნოდათ და აქ აღიზარდნენ ისეთი აღიარებული ფალავნები, როგორებიც იყვნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი როსტომ აბაშიძე, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი დავით გვანცელაძე, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და პრიზიორები ა. მახარაძე, ჯ. მანელიშვილი, ნ. ჭანუყვაძე, ი. ტულუში, ზ. ჩხაიძე. აქვე დაოსტატდნენ მოკრივეები შ. ხუდოიანი, გ. კვაჭანტირაძე, ნ. ყურშუბაძე, ვ. ეკიმიანი, მაგიდის ჩოგბურთელები ს. სარხოიანი, ს. პარფინიდი, ზ. უკლება, თ. რამაზაშვილი, ი. ბელიკოვი, . გ. სარხოიანი და სხვები. ერთი სიტყვით, ამ დარბაზს, სადაც ფეხი აიდგა ამდენმა სახელოვანმა სპორტსმენმა, რომლებმაც მშობლიური ქალაქი, რესპუბლიკა და მთელი ჩვენი ქვეყანა ასახელეს, თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილებოდნენ, მაგრამ...

აი, სწორედ ეს „მაგრამ“ აწუხებთ დღეს აჭარის სპორტსახკომის ხელმძღვანელებს. მათ თხოვნით მიმართეს ქალაქის მესვეურებს, რათა დარბაზი კვლავ სპორტსმენებს დაბრუნებოდათ. რა გამოვა ამ თხოვნიდან, ჯერ არ ვიცით, საჭიროდ კი მივიჩნიეთ სპორტის ქომაგთა ხმა „ლელოს“ მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვისაც მიგვეწვდინა. ცხადია, აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ საქმეში მთავარი საბუთია ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 23 აგვისტოს № 750 გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ასე ხელის ერთი მოსმით გადაწყდა აღნიშნული დარბაზის ბედი. ასეთი თვითნებობა კი სხვა არაფერია, თუ არა საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 12 ივნისის ცნობილი დადგენილების უარყოფა.

გამოდის, რომ სპორტული ბაზა მისი გამოყენების გაუმჯობესების ნაცვლად, საერთოდ უნდა გაქრეს აჭარის სპორტული რუკიდან.

გვაქვს კი ამის უფლება?

**ლევან ქავჟარაძე.**
„ლელოს“ საკ. კორ.

ბათუმი.



# სპორტკლუბს ბაზები აკლია

**გასული** წლის ივლისში ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელმა გოგონებმა უზბეკეთში — ფერგანაში გამართულ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავეს. მიუხედავად ამისა, მწვრთნელები და ფრენბურთელები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. არა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთი კოლექტივის — ზედა იწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გოგონებით იყო დაკომპლექტებული, მეორე ადგილი ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე ურიგოდ არ წარმოგვიდგება. როგორც ჩანს, მათ ქადილის ძალა შესწევდათ. საქმე ისაა, რომ ჩვენს ფრენბურთელებს ღია სპორტულ მოედანზე მანამდე არასოდეს ეთამაშათ. ამის გამო პირველი ორი შეხვედრა წააგეს, ხოლო როცა გრუნტს ალღო აუღეს და ყველა თამაში მოიგეს, უკვე დაგვიანებული იყო...

ზედა იწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ყოველთვის გამოირჩეოდა ფიზკულტურისა და სპორტისადმი განსაკუთრებული და სერიოზული დამოკიდებულებით. 1972 წლიდან აქაურმა სპორტსმენებმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებს შორის ხუთჯერ მოიპოვეს უძლიერესის სახელი. ოთხი წლის წინ ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს თვალსაჩინო მიღწევებისთვის სპორტული კლუბის სტატუსი მიანიჭეს და „პროგრესი“ უწოდეს. სპორტული კლუბის თავმჯდომარე გივი გვილავამ რომ გაგვაცნეს, ასე დაახასიათეს — საქმისათვის არც საკუთარ თავს და არც სხვას არ დაზოგავსო. მასთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ფიზკულტურის თავკაცს ბევრი საზოგადო სატკივარი აწუხებდა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ ფიზკულტურასა და სპორტს ბევრგან ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა.

— ძალიან მოუმზადებელი მოსწავლეები მოდიან. არ დაიჯერებთ, ზოგიერთი კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთებსაც კი ვერ ასხვავებდა ერთმანეთისგან. ელემენტარული ფიზკულტურული ჩვევებიც არა აქვთ გამომუშავებული. ამის გამო იძულებული ვართ მათთან თითქმის თავიდან დავიწყოთ სწავლება, — გულდაწყვეტით გვითხრა გვილავამ და შემდეგ გააგრძელა — ერთ მტკივნეულ საკითხზეც უნდა მოგახსენოთ — სპორტკლუბი გვქვია, მაგრამ მაინც არ გვყოფნის სპორტული ბაზები. ეს განსაკუთრებით ღია სპორტულ მოედნებს ეხება. რაც შეეხება საცურაო აუზს, რომელიც ჩვენს ტექნიკუმზეა მოშენებული, იგი ჩვენ აღარ გვეკუთვნის — ორი წლის წინ მეურნეობა თვითდაფინანსებაზე გადავიდა და აუზის ერთადერთი ბატონ-პატრონიც ის გახდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ტექნიკუმს ალბათ გაუჭირდებოდა აუზის მოვლა-პატრონობა. მისი შენახვა ხომ წელიწადში 24 ათას მანეთს მოითხოვს. ასეა თუ ისე, მეურნეობისა და ტექნიკუმის გათიშვამ ჯერჯერობით მაინც ორივე მხარე აზარალა — ადრე თუ ტექნიკუმი მუშახელით ეხმარებოდა მეურნეობას, ხოლო მეურნეობა თავის მხრივ ტექნიკუმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას აფინანსებდა, დღესდღეობით ეს ურთიერთდახმარება დაირღვა. ახლა აუზი ჩვენ მხოლოდ იჯარით შეგვიძლია გამოვიყენოთ.

ერთი სიტყვით, პრობლემები საკმაოზე მეტი დაგროვდა, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს, რომ მომავალში ბევრი საჩოთირო საკითხი დადებითად გადაწყდება.

**ჯემალ კახრაძე.**

**სურათზე:** გივი გვილავა კალათბურთელთა წვრთნის დროს (ზევით); საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზში.

ავტორის ფოტოები.

# მოსწავლეთა არდადეგებზე

**უკვე** თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა არდადეგების დღეებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეჯიბრებები, საერთო ჯამში, ცუდად და არაორგანიზებულად ტარდება, ზოგან კი საერთოდ არ იმართება ასპარეზობები.

ამის შესახებ „ლელო“ თითქმის ყოველდღიურად იუწყებოდა, როცა რამდენიმე სკოლაში ჩვენი მისვლის შესახებ ვწერდით.

ჩვენი რეიდი თბილისის სკოლებში კვლავ გრძელდება და უმეტეს შემთხვევაში ისევ ცარიელი დარბაზები გვხვდება. მაგალითად, 54-ე და 165-ე სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლებმა არც კი იცოდნენ, რომ თბილისის განათლების სამმართველოს მიერ შედგენილ გრაფიკში აღნიშნულია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მოძრავი თამაშები, შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლებმა ამ გრაფიკის არსებობის შესახებ კი იციან და შეჯიბრებების ჩასატარებლად მზადაც არიან, მაგრამ მათ მოსწავლეთა დაინტერესება ვერ მოუხერხებიათ, ან ასპარეზობებს არაორგანიზებულად ატარებენ. გუშინ 34-ე სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელიც არ იყო, სამაგიეროდ „დაგვამშვიდეს“, ჩვენთან შეჯიბრებები 5 იანვარს ჩავატარეთო.

საინტერესოა, ღონისძიებების ჩატარების დღეები რატომ არ ემთხვევა გრაფიკით დადგენილს?

რა თქმა უნდა, ეს ყველა სკოლაზე არ ითქმის. მაგალითად, 155-ე სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებები გეგმისა და გრაფიკის მიხედვით ჩატარდა. ასევე იყო 36-ე სკოლაშიც.

**გია გაინდურაშვილი,**
**მერი დილმელაშვილი.**



# პლანიჩკა, იაშინი, მარღანია და... აბაიშვილი

...ძველი სპორტსმენი ევგენი აბაიშვილი (თავის დროზე კარგი კალათბურთელი, მწვრთნელი და მსაჯი), მთელი თბილისი „კვადრატას" სახელით რომ იცნობდა, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მის ვაჟს მეკარის საიდუმლოებას შეასწავლიდა თვით ვლადიმერ მარღანია — თბილისის დინამოელთა კარის უბადლო მცველი, რომ სახელგანთქმული ლევ იაშინი მოუწონებდა თამაშს ჯემალს, ხოლო „მეკარეთა მეკარე" ფრანტიშეკ პლანიჩკა დალოცავდა მის პირმშოს დიდი ხელბურთისათვის.

აბაიშვილები იმხანად ვერაზე ცხოვრობდნენ — ნიჭიერი სპორტსმენებით კურთხეულ ძველ თბილისურ უბანში. რაც შეეხება „კიროვის ბაღს", იგი ხომ კალათბურთის ნამდვილ მექად იყო აღიარებული. სამი სპორტული მოედანი იყო მაშინ ამ პარკში და სამივეს ერთგულად პატრონობდა ძია გაბო — უბნის ბიჭების ნამდვილი რისხვა. „რისხვაო", ვთქვით, მაგრამ გაბო ძიასი მხოლოდ იმ ყმაწვილებს თუ ეშინოდათ, უდიერად რომ ექცეოდნენ სპორტულ ინვენტარსა და მოედანს, თორემ წესიერ, სპორტზე თხემით ტერფამდე შეყვარებულ ბიჭებზე სრულებითაც არ ვრცელდებოდა მისი სიბრაზე. ძია გაბო იქვე ბაღში ცხოვრობდა, ის იყო მოედნების მომვლელიც, დარაჯიც, კომენდანტიც და, თუ გნებავთ, დირექტორიც. კასრაძისეული პოპულარული „ტომატის გამყიდველის" აღმოჩენამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ აი, ეს ძია გაბო არანაკლებ პოპულარული და ცნობილი იყო „კიროვისბაღელთა" შორის. როდესაც ქორქია, ჯორჯიკია, ულენტი, ინწკირველი, კილაძე და ძმანი მათნი მორიგ ვარჯიშს დაამთავრებდნენ, გაბო ძია მოედანზე პატარა ვერელებს შეუშვებდა ხოლმე და იტყოდა: „ითამაშეთ რამდენიც გინდათ, ოღონდ არაფერი გააფუჭოთ! იქნებ თქვენგანაც გამოვიდეს რამე?.."

— კალათბურთის ასეთ კორიფეთა შემყურე ბიჭებს სპორტი, რომ იტყვიან, გულ-ღვიძლში გაგვიჯდა, — გვითხრა ამას წინათ ჯემალ აბაიშვილმა. — პირადად მე სპორტის სიყვარული, ვარჯიშისადმი ერთგულება, მეგობრის პატივისცემა სწორედ რომ ბატონ ოთარ ქორქიასა და მისი თანაგუნდელებისგან ვისწავლე.

უნდა ითქვას, რომ ბუნებისაგან სხარტ, მოძრავ ჯემალს იმაშიც გაუმართლა, რომ მშობლიურ მე-7 ვაჟთა სკოლაში სპორტი დიდ პატივში იყო. სწორედ აქედან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი ენთუზიასტის ალიოშა ავალიანის „ხელიდან" გამოვიდნენ ნიჭიერი სპორტსმენები: ლევან მოსეშვილი, თამაზ ანთაძე, გია მიქაძე, ალექსანდრე გერასიმოვი, თამაზ ჩხარტიშვილი,... ავთანდილ ლომსაძე — ფსიქოლოგიური სეანსების აღიარებული ჯადოქარი. ჯემალი მათში ყველაზე პატარა იყო და თუ კალათბურთის ბურთს ხეირიანად „ვერ წვდებოდა", სამაგიეროდ, მშვენივრად იცავდა სკოლის ეზოში მინიფეხბურთის იმპროვიზირებულ კარს. ნელ-ნელა ფეხბურთის სიყვარულმა სძლია კალათბურთისას. დიღმის სპორტულ ბაზაზე, რომელიც დინამოელი კალათბურთელების საწვრთნო შეკრებების ადგილიც იყო, მამას (იგი იმხანად ამ გუნდის უფროსი გახლდათ) რეგულარულად დაჰყავდა პატარა ჯემალი.

— კალათბურთი, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონდა, მაგრამ როდესაც იქვე დინამოელი ფეხბურთელების ვარჯიში ვნახე, მთლად გადავირიე, — განაგრძობს ჯემალი. — მაშინ ჩვენს „დინამოს" შეუდარებელი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი ავარჯიშებდა, ნამდვილი ვარსკვლავები თამაშობდნენ გუნდში. მე და ერთი ბიჭი (მერე გავიგე, რომ იგი იგორ ფროლოვი იყო, სახელგანთქმული თბილისელი მცველის ბორის ფროლოვის ვაჟი. მოგვიანებით იგორი ფეხბურთის ცნობილი მეკარე გახდა — წარმატებით იცავდა მოსკოვის „სპარტაკის" კარს), როგორც წესი, მარღანიას კარის უკან ვიყავით ჩასაფრებული „აუტჩიკებივით". მხუილით მოაპობდა ხოლმე ჰაერს ლოლობერიძის, ვარდიმიადის, ჯოჯუას, ჭკუასელის, ძმები გაგნიძეების მიერ ყუმბარასავით დარტყმული ბურთები. თუ ბურთი კარს აცდებოდა, მე და იგორი ვცდილობდით მის აღებას. ზოგჯერ ვახერხებდით კიდეც. ერთხელ მარღანიამ მოგვაქცია ყურადღება, შეგვაქო და, ასე ვთქვათ, „ნებაყოფლობითი შეფობა" იკისრა ორივეზე — ვარჯიშის შემდეგ ოც-ოცდაათ წუთს რჩებოდა კიდევ და მეკარეობას გვასწავლიდა. მე და იგორმა უკვე მტკიცედ გადავწყვიტეთ მეკარეობაზე გვეოცნება.

...საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ კალათბურთის სპეციალისტები შეკრიბა თავის სამუშაო კაბინეტში ჯაფარიძის ქუჩაზე: —ახალი სახეობა — ხელბურთი უნდა დავნერგოთ ჩვენში, კარგად გაერკვიეთ ყველაფერში, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ორ გუნდს ვაყალიბებთ, მოთამაშეების შერჩევა თქვენთვის მომინდვია. მოსკოვიდან სპეციალისტიც—ბორის კუდრიავცევი ჩამოვიყვანეთ...

ეს იყო 1956 წელს. თბილისში ხელბურთელთა 20-დღიანი შეკრება ჩატარდა, ხოლო წლის მიწურულს — 23 დეკემბერს — „დინამოს" სტადიონზე პირველი საჩვენებელი მატჩიც გაიმართა.

— მაშინ ხელბურთს ღია ცის ქვეშ თამაშობდნენ, თითოეულ გუნდში თერთმეტი კაცი გამოდიოდა,—გაიხსენა იმ დაუვიწყარი შეხვედრის მსაჯმა, ხელბურთში პირველმა არბიტრმა ჩვენს რესპუბლიკაში ისაკ პარლაგაშვილმა. — აბა ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ექვსი წლის შემდეგ ქართული ხელბურთი ასეთ დიდ გამარჯვებას მოიპოვებდა — თბილისის „ბურევესტნიკი" ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდებოდა.

...გამოცდილმა კალათბურთელმა თამაზ ანთაძემ... გერმანული წიგნებიდან რომ შეისწავლა ხელბურთის თამაში, უმცროს თანაუბნელს ჯემალ აბაიშვილს პირველად აჩვენა ნამდვილი ხელბურთი. არმიელთა სტადიონზე საქალაქო ტურნირი მიმდინარეობდა. თამაზი თბილისელთა გუნდის კაპიტანი, მისი სული და გული იყო, ჯემალი კი ტრიბუნაზე იჯდა ეულად.

— ყურადღებით უყურე ყველაფერს, ხომ ხედავ ზუსტად შენი „ზომის" კარია, თამაშის შემდეგ გამოგცდი, — უთხრა მას ანთაძემ.

იმ დღეს აბაიშვილმა ვერც ერთი ბურთი ვერ აიღო.

— კარში მხოლოდ ის ბურთი არ შედიოდა, მიზანს რომ სცდებოდა. რა მომივიდა, დღესაც არ ვიცი, — ეღიმება ჯემალს.

— რამდენიმე დღის შემდეგ თბილისელთა გუნდი (ენაკვიმატებმა მას „ვერის უბნის ნაკრები" უწოდეს) ვორონეჟში გაემგზავრა საკავშირო ტურნირზე, ჯემალი კი გულმოდგინე ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგა. თანდათანობით თბილისში თანამედროვე (7X7) ხელბურთი შემოვიდა. პირველად მას ჩვენი ბიჭები ბაქოში გაეცნენ 1958 წელს, სწორედ იმ სეზონში ჩარიცხეს „ბურევესტნიკში" ჯემალ აბაიშვილი. უნდა ითქვას, რომ გუნდში მაშინ ჩინებული მეკარეები ჰყავდათ — არტურ რატიანიძე და კუკური ცირეკიძე, რომელთაგან ჯემალმა მართლაც ბევრი სასარგებლო გადაიღო.

1960 წელს ლენინგრადში გამართულ 8 ქალაქის ტრადიციულ ტურნირზე გამოცდილმა რატიანიძემ ხელი დაიზიანა და მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ პირველად ანდო კარის დაცვა ახალგაზრდა მეკარეს. ეს იყო მოსკოვის „ტრუდთან" შეხვედრაში. ანდო და არც შემცდარა. ჯემალ აბაიშვილი დიდი ხელბურთის კარიდან თითქმის... 13 წელიწადი არ გამოსულა. მშვენიერი რეაქცია და ნახტომი, ადგილის შერჩევის უნარი, ... ალღო ჰქონდა. ... არ იყოს სიმაღლე ... ხელს ... ამიტომ ნაკლის ... მოზნით თავდაუზოგავად — დღეში სამჯერ ვარჯიშობდა. წარმოიდგინეთ, მიზნადაც კი დაისახა საკავშირო ნაკრებში მოხვედრილიყო.

აუხდა ოცნება. 1962 წელს იგი ქვეყნის მთავარ გუნდში (რომლის უფროს მწვრთნელად მაშინ გ. შარაშიძე მუშაობდა) შეიყვანეს ჯემალ (ცერცვაძესთან, თამაზ ანთაძესთან, იმედო ფხაკაძესთან ერთად. პირველი მატჩი ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა რუმინელებთან (ორი ბურთის სხვაობით დავმარცხდით). მას შემდეგ აბაიშვილმა ქვეყნის ნაკრებში მრავალი მატჩი ითამაშა (1967 წლამდე), მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ორ ჩემპიონატში — 1964 წელს (ჩეხოსლოვაკია, V ადგილი) და 1967 წელს (შვეცია, IV ადგილი). პირველ შეჯიბრებაში მასთან ერთად ჯემალ ცერცვაძეც გამოდიოდა, მეორეში — კიდევ ორი თანაგუნდელი დაემატათ — იმედო ფხაკაძე და ანზორ ექსეულიძე. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ტურნირზე ჯემალ აბაიშვილს საუკეთესო მეკარედ აღიარებდნენ.

ჯემალმა მშობლიური გუნდის— თბილისის „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი (1962 და 1964 წლები), სამჯერ — ვერცხლისა (1965, 1966 და 1967 წლები) და ერთხელ — ბრინჯაოსი (1963 წელი).

აი ის, რისი თქმაც გვინდოდა საპატიო სპორტის ოსტატზე, სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ხელბურთის განყოფილების ხელმძღვანელზე ჯემალ აბაიშვილზე. მგონი ყველაფერი გიამბეთ...

პლანიჩკა და იაშინი?

დიახ! ლევ იაშინმა აბაიშვილის თამაში კიევში ნახა საკავშირო ჩემპიონატზე. შეხვედრის შემდეგ სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ხელი ჩამოართვა ჩვენს მეკარეს და „პატარა კარის დიდი დარაჯი" უწოდა.

რაც შეეხება ლეგენდარულ მეკარეს ფრანტიშეკ პლანიჩკას, ის და ჯემალი ერთმანეთს 1964 წლის მარტში შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიაში, ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. „მეკარეთა მეკარემ" ქართველ გოლკიპერს გზა დაულოცა დიდ ხელბურთში და ფოტოსურათი გადაიღო მასთან.

**ოთარ ნოზაძე.**





სურათებზე: თბილისელთა მეკარემ კიდევ ერთხელ გადაარჩინა ბურევესტნიკელთა კარი; ფრანტიშეკ პლანიჩკა და ჯემალ აბაიშვილი.
ფოტო „ლელოს" არქივიდან.

## მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში

როგორც ვიტყობინებოდით, ჰოლანდიაში დაიწყო მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი მინიფეხბურთში დახურულ დარბაზებში. გაგაცნობთ ამ პირველი დიდი შეჯიბრების მონაწილეებს:

„ა" ჯგუფი. ჰოლანდია, დანია, პარაგვაი, ალჟირი.

„ბ" ჯგუფი. ბრაზილია, უნგრეთი, საუდის არაბეთი, ესპანეთი.

„ც" ჯგუფი. იაპონია, ბელგია, კანადა, არგენტინა.

„დ" ჯგუფი. იტალია, ზიმბაბვე, ავსტრალია, აშშ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 162 წევრიდან ამ გათამაშებაში მონაწილეობისთვის მიიწვიეს 16 გუნდი. ეს იმ ქვეყნების წარმომადგენლები არიან, სადაც დარბაზებში ფეხბურთი საკმაო პოპულარობით სარგებლობს. სსრ კავშირში მინიფეხბურთი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს, ამიტომაც ჩვენი გუნდი, სამწუხაროდ, ვერ მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 16 ნაკრებს შორის. სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ ჰოლანდიაში გაგზავნა ექსპერტები, რომლებმაც უნდა შეისწავლონ მინიფეხბურთის ორგანიზაციული საკითხები, რათა ჩვენი ნაკრები მოემზადოს შემდგომი მსოფლიო პირველობისთვის.

ორგანიზაციული სიძნელეები ტურნირს მართლაც საკმაოდ გააჩნია. უმთავრესად ეს არის ფინანსური და წმინდა სპორტული ხასიათის პრობლემები. მაგალითად, ჰოლანდიის ნაკრებში არ გამოდიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც შარშან ზაფხულს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს. შეჯიბრება ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს და ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს უნდა დაესწროს სულ ცოტა 80 ათასი მაყურებელი, რომ შესაძლებელი შეიქნას გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

გათამაშების პირველ დღეს ჰოლანდიელებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს დანიის გუნდი. აღნიშნავენ, რომ დანიელთა რიგებში გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელი ოლსონი და ლაუდრუპის უმცროსი ძმა (თვით ლაუდრუპი იტალიის „იუვენტუსში" თამაშობს).

## ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივები უკვე ემზადებიან ახალი სეზონისთვის. ზოგიერთი გუნდი ახლა უცხოეთშია და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობს. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავს ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლის საკითხებს.

წლეულს უმაღლეს ლიგაში გამოვა ვოლგოგრადის „როტორი". ამ გუნდმა თავის შემადგენლობაში მიიწვია ბ. კუზნეცოვი დონის როსტოვის „როსტსელმაშიდან" და ხუდოროჟკოვი პერმის „ზვეზდადან".

მოსკოვის „ტორპედოში" მიიწვიეს ლიპეცკის „მეტალურგის" ფეხბურთელი ფილიმონოვი, აგრეთვე, მაკეევი და ტულეპკოვი კრასნოგორსკის „ზორკიდან".

კიევის „დინამოში" გამოვლენ ლვოვის ასკ „კარპატის" ფეხბურთელი ლუჟნი და მატვეევი „როსტსელმაშიდან".

ხერსონის „კრისტალიდან" ხარკოვის „მეტალისტში" გადავიდნენ მენშიკოვი, აგრეთვე, კიევის არმიელთა გუნდის ფეხბურთელები ლანცოფერი და სიმანოვიჩი.

წლევანდელ სეზონში ოდესის „ჩერნომორეცში" ითამაშებენ სმოტრიჩი (ასკ „კარპატიდან"), იარმოლიჩი (ვოროშილოვგრადის „ზარიადან") და შელეპნიცკი (ჩერნოვცის „ბუკოვინიდან").

სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონის—დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" რიგებში მიიწვიეს ნიკოპოლის „კოლოსის" ფეხბურთელები ჩერვონი, ფედიუკოვი და ლეონოვი.

მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელი ბოდაკი გადავიდა მოსკოვის „ლოკომოტივში", ლოკომოტიველთა შემადგენლობაში ითამაშებენ, აგრეთვე, პლიასკინი (სმოლენსკის „ისკრა"), ნესტეროვი (კრასნოგორსკის „ზორკი") და პანჩენკო (ლიპეცკის „მეტალურგი").

მოსკოვის „სპარტაკი" ამჟამად მინიფეხბურთის ტურნირზე იმყოფება შვეიცარიაში. უცხოეთში გამგზავრების წინ გაიმართა სპარტაკელთა საერთო კრება, რომელმაც იმსჯელა გუნდიდან წასული კ. ბესკოვის ადგილზე მთავარი მწვრთნელის კანდიდატებზე (ი. ნეტო, ო. რომანცევი, ე. ლოვჩევი, ა. კოჩეტკოვი, ი. მოროზოვი), სპარტაკელებმა ერთსულოვან გადაწყვეტილებას ვერ მიაღწიეს, ამიტომაც გუნდის მთავარი მწვრთნელის საკითხი ჯერჯერობით ღიად დარჩა.

ცნობილი მწვრთნელი ვ. პროკოპენკო, რომლის ხელმძღვანელობითაც ვოლგოგრადის „როტორი" შარშან უმაღლეს ლიგაში გადავიდა, დაუბრუნდა ოდესას და კვლავ სათავეში ჩაუდგა „ჩერნომორეცს". „როტორს" ახლა ხელმძღვანელობს პ. შუბინი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში" მუშაობდა მეორე მწვრთნელად.

### ვიდეოჩანაწერით დაუმტკიცეს

ჰოლანდიის ფეხბურთის ისტორიაში პირველად ტელეჩანაწერი გამოიყენეს როგორც მოთამაშის დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი. ეროვნული ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელი იან ვოტურსი ორი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, რადგან ტელეჩანაწერში კარგად ჩანდა, როგორ დააშავა მან მეტოქე. ეს მსაჯმა ვერ შეამჩნია, პირიქით, კონფლიქტურ სიტუაციაში ვერ გაერკვა და დაზარალებულს... წითელი ბარათი უჩვენა!

### მარადონას ინტერვიუ

დასავლეთგერმანულ ჟურნალ „კიკერის" კორესპონდენტი ესაუბრა მარადონას ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენების საკითხებზე.

— ჩემი პარტნიორები არსად, არც არგენტინის ნაკრებსა და არც „ნაპოლიში", დოპინგს არასდროს არ იყენებდნენ და ყველგან მის წინააღმდეგ გამოდიან. რაც შეეხება ბენ ჯონსონს და მის გარშემო ატეხილ სკანდალს, აქ რაღაც გაუგებრობაა. ვფიქრობ, ჯონსონი უფრო მსხვერპლია, ვიდრე დამნაშავე. იგი ჩემთვის იყო და რჩება მსოფლიოში უდიდეს სპორტსმენად.




## „შახტიორი"—სამეურნეო ანგარიშზე

ჩვენი ფეხბურთის უმაღლესი ლიგის კიდევ ერთი კოლექტივი დონეცკის „შახტიორი" გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. 6 იანვარს დონეცკში შედგა დამფუძნებელთა კონფერენცია. დამფუძნებელთა შორის არიან სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომი, კომკავშირის საოლქო კომიტეტი და პროფკავშირთა საოლქო საბჭო. კლუბის მთავარი სპონსორია ქვანახშირის მომპოვებელი ტრესტის „გლავდონეცკუგოლის" ტერიტორიული სამმართველო. კონფერენციაზე დაამტკიცეს კლუბის წესდება, შექმნეს ხელმძღვანელი ორგანოები. დონეცკის „შახტიორის" მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კონკოვი.

# ოთხი ტურის შემდეგ

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური შეჯიბრების მეოთხე ტურში ლიდერმა — ესპანეთის „ბარსელონამ“ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ცსკა კი მეოთხედ დამარცხდა. პირველი ქულა დაკარგა იტალიის „სკავოლინიმაც“. მას ისრაელის „მაკაბიმ“ აჯობა — 92:88, „ლიმოჟმა“ (საფრანგეთი) მოუგო „ნაშუა დენ ბოშს“ (ჰოლანდია) 106:70. სატურნირო ცხრილი დღეისთვის ასე გამოიყურება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 4 | 4 | 0 | 8 |
| „მაკაბი“ | 4 | 3 | 1 | 7 |
| „სკავოლინი“ | 4 | 3 | 1 | 7 |
| „არისი“ (საბერძ.) | 4 | 2 | 2 | 6 |
| „იუგოპლასტ.“ (იუგ.) | 4 | 2 | 2 | 6 |
| „ლიმოჟი“ | 4 | 1 | 3 | 5 |
| „ნაშუა“ | 4 | 1 | 3 | 5 |
| ცსკა | 4 | 0 | 4 | 4 |

ქალთა ანალოგიურ ტურნირში დაწინაურდა იტალიის „პრიმიჯი“, რომელმაც მესამე წრეში „ასტარაკს“ (საფრანგეთი) აჯობა — 58:54. საფრანგეთის გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო მოსკოველი სუხარნოვა, რომელიც ამჟამად „ასტარაკის“ ღირსებას იცავს. მან თავის კოლექტივს 16 ქულა შესძინა.

ბულგარეთის „ლევსკი-სპარტაკმა“ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის „ვისოკე შკოლი“ 77:55.

გათამაშების ლიდერს — „პრიმიჯის“ 3 გამარჯვება აქვს, ნოვოსიბირსკის „დინამოს“ და „იადინსტვოს“ (იუგოსლავია) — 2-2, „ლევსკი-სპარტაკსა“ და „ვისოკე შკოლის“ — თითო-თითო, „ასტარაკს“ — არც ერთი.

# რიგელები დაიღალნენ

**სენტ-ლუისი.** რიგის „დინამოს“ ჰოკეისტებმა, რომლებიც ტურნეს ატარებენ აშშ-ში, მორიგი დამარცხება განიცადეს ამ ქალაქში ადგილობრივ პროფესიონალებთან 0:5 (0:3, 0:1, 0:1).

მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე დინამოელთა მწვრთნელმა ვ. იურზინოვმა ეს წარუმატებლობა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაღლილობით ახსნა.

# ვოლკოვი ნახევარფინალში

**ადელაიდაში** დასასრულს უახლოვდება სამხრეთ ავსტრალიის შტატის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა მეოთხედფინალში ამერიკელ პიტერ სამპრასს სძლია (2:6, 6:1, 6:4) და ნახევარფინალში გავიდა.

ახლა იგი ავსტრალიელ მარკ ვუდფორდს შეხვდება, ჩოგბურთელს, რომელმაც მანამდე ანდრეი ჩერკასოვი დაამარცხა. მეოთხედფინალში ვუდფორდმა იუგოსლაველ გორან ივანიშევიჩს მოუგო — 7:5, 3:6, 6:2.

ადელაიდიდან საბჭოთა ჩოგბურთელები სიდნეის გაემგზავრებიან, სადაც ახალი ტურნირი დაიწყება.

# მსოფლიო რეკორდი

17 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ველოსიპედისტმა დიმიტრი ნელიუბინმა მოსკოვში, კრილატსკის ტრეკზე, საკავშირო შეჯიბრების მსვლელობისას იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 5 კილომეტრზე რბოლაში — 5.46, 515.

ძველი რეკორდი, რომელიც აქვე იყო დამყარებული გასული წლის 29 ოქტომბერს, სიმფეროპოლელ ალექსანდრ გონჩენკოვს ეკუთვნოდა — 5.59,016.

## საჭადრაკო კომპოზიცია • ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### სათცარი e2—e4?!

თეთრების პირველი სვლის უპირატესობის შესახებ ბევრია დაწერილი. მართლაც, მეფის პაიკის თამაში e4 უჯრაზე ხშირად გამხდარა თეთრების გამარჯვების საწინდარი. მოჭადრაკეებს შორის არსებობს შემდეგი მოარული გამოთქმაც: „1. e2—e4 და თეთრები იგებენ!“ ისტორიაში ცნობილია ასეთი ფაქტიც. 1706 წელს ვინმე კეზი, რომელმაც თავისი ოცწლიანი საჭადრაკო პრაქტიკის საფუძველზე შექმნა ხელნაწერი თხზულება მეფის გამბიტის შესახებ, კურიოზულ დასკვნამდე მისულა: „სვლა 1. e2—e4 თეთრებს ისეთ დიდ უპირატესობას ანიჭებს, რომ იგი უნდა აიკრძალოს. თეთრებს შეუძლიათ ითამაშონ მხოლოდ 1. e2—e3“.

მისთვის ჩვეული იუმორით გამოხატა იგივე აზრი გამოჩენილმა მოთამაშემ და ბრწყინვალე საჭადრაკო ჟურნალისტმა საველი ტარტაკოვერმა: 1. e2—e4 სვლის შემდეგ თეთრების პარტია უკვე დასასრულს უახლოვდება“.

მაგრამ ამ საოცარი სვლის გარშემო სხვა მოსაზრებებიც არსებობს. მაგალითად, ცნობილი ავსტრიელი დიდოსტატი ერნსტ გრიუნფელდი (1893-1962), რომელიც აღიარებული ავტორიტეტი იყო დებიუტებში (საქვეყნოდ არის ცნობილი მისი სახელობის დაცვაც), ამ სვლას არ სცნობდა. აღსანიშნავია, რომ თავის მდიდარ სატურნირო პრაქტიკაში მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა 1. e4. ეს იყო კაპაბლანკას წინააღმდეგ კარლსბადის 1929 წლის ტურნირში. როცა მას ჰკითხეს, თუ რატომ გაურბის იგი ამ სვლას, გრიუნფელდმა უპასუხა:

— დებიუტში მე შეცდომას არასოდეს არ ვუშვებ!

საჭადრაკო სამყაროში შეგვხვედრია სახუმარო, ე. წ. „ორჭოფული“ შეფასების მაგალითიც. თურმე, ბერლინის 1928 წლის საერთაშორისო ტურნირის წილისყრის შემდეგ ჭადრაკის თამაშის თავისი სისტემის შემქმნელმა დიდოსტატმა ა. ნიმცოვიჩმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „მე ყოველთვის მოგებაზე ვთამაშობ — თეთრებითაც და შავებითაც. თეთრებით იმიტომ, რომ მე ზედმეტი ტემპი მაქვს; შავებით იმიტომ, რომ მე ტემპით ნაკლები მაქვს და ეს საშუალებას მაძლევს მეტოქის პირველი სისუსტეები გამოვიყენო, მაგალითად პირველი სვლა e2—e4“.

ბუნებრივია, ამ მაგიური სვლის მიმართ არც საჭადრაკო კომპოზიტორები დარჩენილან გულგრილნი. შექმნილია ნაწარმოებები, რომელშიც, მეფის პაიკი გამორჩეულ როლს თამაშობს.

**პ. ტენ კატე, 1926**



შამათი 2 სვლაში

ამ ამოცანის ავტორია გამოჩენილი ჰოლანდიელი პრობლემისტი პიტერ ტენ კატე, რომელიც სხვათა შორის, 1975 წელს თბილისში გამართულ საჭადრაკო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესის დელეგატი იყო. ამოხსნაა: 1. e4! (მუქარა 2. მg4X). შავების დაცვებს — 1. ...მf2, მe3, f2, fe (აღება გავლისას), რომლებიც დაბმული ეტლის ოთხჯერად აშვებას იწვევს, ბატარეული შამათები — 2. ე:c4, ე:d3 ეe4, ეd5X მოსდევს. ამ სარეკორდო ჩანაფიქრს ეტლის გეომეტრიული მოძრაობა („ჯვარი“) ალამაზებს.

ზღაპრულ ჭადრაკში მეფის პაიკის აგრესიულობა სხვაგვარად არის წარმოჩენილი.

**ი. ბერკოვეცი, 1942**



ნადიშამათი 3 სვლაში

წინასწარ (ანუ ილუზორულ) თამაშში, რომელიც ნადიშამათში თეთრების სვლით იწყება, არსებობს ვარიანტი: 1. ...d3+ 2. მფd4+ მფd2 3. e5 ე3X. მაგრამ იგი განუხორციელებელი რჩება, ვინაიდან ამ ჟანრის ამოცანებში თამაშს შავები იწყებენ. ნამდვილი ამოხსნაა: 1. ...ეd6 d4 2. მფd5+ მფd3 3. ეcc6 e4X! ორივე ვარიანტში მეფის პაიკის მიერ გამოცხადებული ექო-შამათები ქამელეონური და იდეალურია

მაგრამ 1. e4 სვლას შამათის ნაცვლად, თურმე „დიდოსტატური“ ტყემის გაქცევაც შეუძლია. აი, რა კურიოზი შეემთხვა ერთხელ პაულ კერესს ცეხოეთში ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარების დროს. როცა მან ერთ მეგიდასთან 1. e4 ითამაშა და შემოვლის შემდეგ დაფას დაუბრუნდა, გაოცდა, როცა ყველა ფიგურა საწყის მდგომარეობაში დახვდა.

მან ჩათვალა, რომ მოხდა გაუგებრობა და ისევ ითამაშა 1. e4. მაგრამ როცა კერესი კვლავ დაბრუნდა დაფასთან, იგივე სურათი დახვდა — ყველა ფიგურა ისევ საწყის ადგილებზე იდგა.

გაურკვევლობაში ჩავარდნილმა დიდოსტატმა შეხედა თავის მოხუც მეტოქეს და მესამედ ითამაშა 1. e4, თანაც პარტნიორს სთხოვა, რომ მისი თანდასწრებით გაკეთებულიყო საპასუხო სვლა. და მხოლოდ მაშინ აეხადა ფარდა „საიდუმლოს“.

— ყაიმი, პოზიციის სამჯერადი გამეორების გამო! — წამოიძახა ოთხმოცი წლის გამოცდილებელმა მოწინააღმდეგემ. ასეთი „გამომგონებლობის“ წინაშე დიდოსტატი უძლური აღმოჩნდა: მან გაიცინა და ყაიმზე დათანხმდა.

ვიმედოვნებთ, ჩვენი მკითხველებიც არ დარჩებიან გულგრილნი e4 სვლის მიმართ და ამოხსნიან შვეიცარიელი პრობლემისტის საინტერესო სამსვლიან ამოცანას, რომელიც საკმაოდ შენიღბულ და ლამაზ იდეას შეიცავს.

**ა. ნაგლერი, 1933**



შამათი სამ სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს“ 18 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი ა. დე მიუსეს სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ეd7! მ:d7 2. მc6. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: მ. გოზალიშვილი (წნორი), ნანა ზურაშვილი (ძვ. ანაგა, სიღნაღის რ.), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ე. საბეკია (ცირცხი, ჩხოროწყუს რ.), ზ. ბადუაშვილი (სააკაძე, გარდაბნის რ.), ია კვასხვაძე (ლანჩხუთი), ფ. ბეროშვილი (გურჯაანი), გ. მამფორია (ჩხოროწყუ), ნ. გაბუნია, რ. და ნ. კახიძეები (ყველა — ბათუმი), ქეთინო და მაკა ყურაშვილი, მაია გოგოიაშვილი, ა. ღირსიაშვილი, ვ. შავგულიძე, ეკა და ო. ნემსაძეები, ო. და დ. მამულაშვილები (ყველა — თბილისი).

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა** უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

**ინგლისი**

**მე-18 ტური.** „ნორვიჩი“ — „ვესთ ჰემი“ 2:1, „ასტონ ვილა“ — „ქუინს პარკი“ 2:1, „ჩარლტონი“ — „არსენალი“ 2:3, „დერბი“ — „ლივერპული“ 0:1, „ევერტონი“ — „მიდლსბრო“ 2:1, „მანჩესტერი“ — „ნოტინგემი“ 2:0, „შეფილდი“ — „ნიუკასლი“ 1:2, „საუთჰემპტონი“ — „ქოვენთრი“ 2:2, „ტოტენჰემი“ — „ლუტონი“ 0:0, „უიმბლდონი“ — „მილუოლი“ 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „ნორვიჩი“ | 18 | 36 |
| „არსენალი“ | 17 | 34 |
| „ლივერპული“ | 18 | 28 |

**არგენტინა**

**მე-18 ტური.** „სან მარტინი“ — „დეპორტივო მანდიუი“ 1:0, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „ტალერესი კორდობა“ 3:0, „დეპორტივო ესპანიოლი“ — „როსარიო სენტრალი“ 1:1 (4:3), „ველეს სარსფილდი“ — „ესტუდიანტესი“ 0:0 (5:4), „რივერ პლეიტი“ — „ინდეპენდიენტე“ 1:2, „დეპორტივო არმენიო“ — „პლატენსე“ 0:3, „გიმნასია ესგრიმა“ — „სან ლორენცო“ 1:0, „ნეველს ოლდ ბოისი“ — „რესინგი კორდობა“ 3:1, „ინსტიტუტო კორდობა“ — „ფეროკარილ ოესტე“ 1:2, „რესინგი ბუენოს-აირესი“ — „ბოკა ხუნიორსი“ 0:0 (3:4)

| | | |
|---|---|---|
| „რესინგი ბუენოს-აირესი“ | 18 | 39 |
| „დეპორტივო ესპანიოლი“ | 18 | 36 |
| „ინდეპენდიენტე“ | 18 | 36 |
| „ბოკა ხუნიორსი“ | 18 | 36 |

**იტალია**

**მე-11 ტური.** „რომა“ — „ნაპოლი“ 1:0, „მილანი“ — „სამპდორია“ 0:0, „ლეჩე“ — „ინტერი“ 0:3, „იუვენტუსი“ — „ტორინო“ 1:0, „პიზა“ — „ლაციო“ 1:1, „ატალანტა“ — „კომო“ 1:1, „ბოლონია“ — „ასკოლი“ 1:0, „პესკარა“ — „ჩეზენა“ 3:0, „ფიორენტინა“ — „ვერონა“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 11 | 20-4 | 20 |
| „ნაპოლი“ | 11 | 26-10 | 17 |
| „სამპდორია“ | 11 | 16-7 | 15 |

**დანია**

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრონდბიუ“ | 26 | 57-22 | 40 |
| „ნესტვედი“ | 26 | 41-25 | 35 |
| „ლუნგბიუ“ | 26 | 40-27 | 35 |

**ნორვეგია**

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტრონდჰეიმი“ | 22 | 54-23 | 47 |
| „ლილესტრიომი“ | 22 | 38-18 | 40 |
| „მოლდე“ | 22 | 35-18 | 39 |

**პოლონეთი**

**I წრის შემდეგ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „გურნიკი“ (ზაბჟე) | 15 | 31-12 | 27 |
| „კატოვიცე გკს“ | 15 | 25-10 | 25 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 15 | 19-8 | 25 |

**უნგრეთი**

**I წრის შემდეგ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მტკ (ბუდაპეშტი) | 15 | 28-16 | 36 |
| „ფერენცვაროში“ | 15 | 27-20 | 32 |
| „ჰონვედი“ | 15 | 19-12 | 29 |

**ბულგარეთი**

**I წრის შემდეგ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი“ (სოფია) | 15 | 55-14 | 26 |
| „ველიკო ტირნოვო“ | 15 | 29-16 | 19 |
| „თრაკია“ (პლოვდივი) | 15 | 31-19 | 19 |

**ავსტრია**

**I ეტაპის შემდეგ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი“ | 22 | 50-25 | 33 |
| „ადმირა“ | 22 | 45-27 | 31 |
| „აუსტრია“ | 22 | 54-26 | 30 |

(საქ. ინფ.).

## კვირიდან კვირამდე

**„კომსომოლსკაია პრავდა“ — 3 იანვარი.** „მიყვარს პოეზია ფეხბურთში“. გაზეთის სტუმარია ცნობილი სატირიკოსი, ფეხბურთის გულშემატკივარი და მცოდნე არკადი არკანოვი.

**4 იანვარი.** „სკანდალი კეთილშობილურ ოჯახში“. ისინი, კონსტანტინე ბესკოვი და ნიკოლაი სტაროსტინი დიდი ხანი მუშაობდნენ ერთად. არავინ იფიქრებდა, რომ მათი გზები გაიყრებოდა.

**5 იანვარი.** „პრესინგი კაბინეტურ სტილში“, რომელიც ვლინდება ჩვენი ქვეყნის წამყვან კალათბურთელთა მიმართ.

**„ტრუდი“ — 4 იანვარი.** „კვლავ დოპინგის შესახებ“. სსრ კავშირის სპორტსახკომის ერთი ბრძანების ისტორია.

**„სოვეტსკი სპორტი“ 3 იანვარი.** „სხვა გზა არ არის“. კლასიკურ ჭიდაობაში სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის მიხეილ მამიაშვილის მონოლოგი.

**4 იანვარი.** „გულშემატკივართა ბუნტი“. აღორძინდება თუ არა ლვოვის პროფკავშირული გუნდი „კარპატი“?

**6 იანვარი.** „აი რას ფიქრობს ბესკოვი“. გაზეთის ფურცლებზე დაწყებულ დისკუსიას აგრძელებს კონსტანტინე ბესკოვი.

## „სპორტპროგნოზი“, მესამე ტირაჟის პროგრამა (14-15 იანვარი)

| სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) | 14.I | 70 | 20 | 10 |
| 2. „დინამო“ (რიგა) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) | 15.I | 30 | 20 | 50 |
| 3. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი) | 15.I | 50 | 20 | 30 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 4. „ატლანტა“ (ბერგამო) — „ასკოლი“ (ასკოლი) | 15.I | 70 | 20 | 10 |
| 5. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „იუვენტუსი“ (ტურინი) | 15.I | 10 | 40 | 50 |
| 6. „ლაციო“ (რომი) — „რომა“ (რომი) | 15.I | 10 | 80 | 10 |
| 7. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „ინტერი“ (მილანი) | 15.I | 40 | 10 | 50 |
| 8. „პესკარა“ (პესკარა) — „სამპდორია“ (გენუა) | 15.I | 10 | 60 | 30 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 9. „ხიხონი“ (ხიხონი) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) | 15.I | 50 | 20 | 30 |
| 10. „ვალენსია“ (ვალენსია) — „რეალი“ (მადრიდი) | 15.I | 10 | 40 | 50 |
| 11. „ელჩე“ (ელჩე) — „სარაგოსა“ (სარაგოსა) | 15.I | 10 | 70 | 20 |
| 12. „მალაგა“ (მალაგა) — „ბარსელონა“ (ბარსელონა) | 15.I | 10 | 30 | 60 |
| 13. „სევილია“ (სევილია) — „ლოგრონიესი“ (ლოგრონიო) | 15.I | 70 | 20 | 10 |

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05686